# ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის

## რატომ არის სტრატეგია აუცილებელი?

დღეს ჩვენ მხრივ ვდგავართ მრავალრიცხოვანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილების წინაშე, რომლებიც ცვლის კულტურული მემკვიდრეობის აღქმის, გამოცდილებისა და გადაცემის საშუალებებს. ახალი ტექნოლოგიები, ასევე, ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების განვითარებას და აუდიტორიას უნარ-ჩვევების გამოყენებისა და აქტიური მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე ქვეყნების მინისტრებმა ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ 2015 წლის აპრილში ნამურში განაცხადეს იმ სტრატეგიის საჭიროების შესახებ, რომელიც განისაზღვრავს ევროპაში კულტურული მემკვიდრეობის ადგილსა და როლს. ეს სტრატეგია კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის საკოორდინაციო კომიტეტის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა და მინისტრთა კომიტეტმა მიიღო 2017 წლის თებერვალში.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციები და რეკომენდაციები მხარს უჭერს კომპლექსურ მიდგომას, ანუ ეროვნული პოლიტიკის კოორდინაციას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და საზოგადოების მოთხოვნილებებს.

კერძოდ, ფაროს ჩარჩო-კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების შესახებ სტრატეგია 21-ს მოუწოდებს, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას გაერთიანებისკენ მიმავალ გზაზე და ადამიანები და დემოკრატიული ფასეულობები მემკვიდრეობის დისციპლინათაშორისი, მრავალსექტორული და გაფართოებული კონცეფციის ცენტრში მოაქციოს. სტრატეგიის რეკომენდაციები ორიენტირებულია ადამიანთა ჯგუფებსა *(communities - რომელია უკეთესი: თემებს, კომუნებს, გაერთიანებებს, საზოგადოებებს)* და მემკვიდრეობის ფასეულობებს შორის კავშირის აღდგენაზე, ასევე წევრი სახელმწიფოებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ მონაწილეობის იმ მექანიზმების გამოყენების წახალისებაზე, რომლებიც „ეფექტურ მართვაზეა“ დაფუძნებული.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

## რატომ არის სტრატეგია აუცილებელი

სტრატეგია 21 არ არის მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული მიზნების მიღწევის  გეგმა, იგი სხვა სექტორების მიზნების მიღწევასაც გულისხმობს. მისი 57 გვერდი განსაზღვრავს ამ კომპლექსური მიდგომის ჩარჩოს და ამყარებს ურთიერთობას კულტურული მემკვიდრეობასა და სამ პრიორიტეტულ კომპონენტს შორის:

• სოციალური მონაწილეობისა და ეფექტური მართვის ხელშეწყობა;

• ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების მდგრადობა;

• კვლევისა და სწავლების წვლილი ცოდნისა და განათლების გაღრმავებაში.

თითოეულ კომპონენტს საკუთარი გამოწვევები და მათი გადაჭრისთვის აუცილებელი რეკომენდაციები აქვს. მოქმედების კურსები თითოეული რეკომენდაციის შესაბამისად არის ილუსტრირებული ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი რეალური პროექტების მაგალითებით.

S

სოციალური კომპონენტი

სოციალური კომპონენტის რეკომენდაციები უზრუნველყოფს:

- ადმინისტრაციულ ორგანოებისა და მოქალაქეების ერთობლივი მმართველობის პრაქტიკის დანერგვას;
- მრავალფეროვნების პატივისცემისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას;
- ევროპის საბჭოს არსებული კონვენციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების რეკომენდაციები ეხება:

- მემკვიდრეობის, როგორც მდგრადი რესურსის გამოყენებას;
- მემკვიდრეობის ინტეგრაციას განვითარების სტრატეგიებში;
- ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და წარდგენისთვის.

D

ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარება

K

ცოდნა და განათლება

ცოდნისა და განათლების რეკომენდაციები საზოგადოებას ეხმარება:

- შემოქმედებითი პოტენციალის სტიმულირებაში სოციალური ევოლუციის წარმართვის მიზნით (?????)
- სწავლების საშუალებით მაღალ პროფესიულ დონის უზრუნველყოფაში;
- მემკვიდრეობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესწავლასა და შენარჩუნებაში.

## როგორ უნდა გამოიყენებოდეს სტრატეგია?

**სტრატეგია, როგორც მითითება (ათვლის წერტილი):**

სტრატეგიის შესაბამისად მიმდინარე ან ახალი პროექტის გასაანალიზებლად მარტივად შეიძლება იმ რეკომენდაციების მოძიება, რომლებიც ეხება შესაბამის გამოწვევებსა და მუშაობის სფეროებს. მსგავსი პროექტების მაგალითები და საკონტაქტო ინფორმაცია სხვა დაინტერესებული მხარეების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სტრატეგია 21-ის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ეროვნული სამართლებრივი დებულებებისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია HEREIN-ის ვებ-გვერდზე.

**კომპლექსური მიდგომის დანერგვისთვის:**

შემდეგ ეტაპებზე მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა ჩავრთოთ ეს მიდგომა მემკვიდრეობაში:

- განიხილეთ კულტურული მემკვიდრეობის ყველა ასპექტის, მათ შორის არამატერიალური სფეროს კავშირი ბუნებრივ და კულტურულ გარემოსთან;
- იმუშავეთ კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა შესაბამისი საჯარო და კერძო დაინტერესებული მხარის მოთხოვნილებების სამართლიანად დაკმაყოფილებაზე და ამით ერთობლივი მმართველობის განხორციელებაზე;
- მიეცით მოქალაქეებს შესაძლებლობა, საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის შეფასებაზე, დაცვასა და კონსერვაციაზე, განსაზღვრონ თავისი როლი საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად.
- გაითვალისწინეთ არსებული ხელსაწყოები და პოლიტიკა ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად;
- საუკეთესოდ გამოიყენეთ ყველა რესურსი ოპტიმალური ეფექტურობისა და მდგრადობის მისაღწევად.

**გადაკვეთის არეები;**

ზემოთ აღნიშნული ეტაპების განხორციელებისას პროექტი დაკავშირებული იქნება ერთზე მეტ კომპონენტთან სტრატეგიის სამი კომპონენტიდან. ეს თანხვედრა (ანუ ურთიერთკავშირი) აჩვენებს, მაგალითად, სექტორთაშორის ზეგავლენას, რაც უფრო მეტად ხელმისაწვდომს ხდის მემკვიდრეობას, შეუძლია ინვესტიციებისა და შემოქმედებითი მიდგომის სტიმულირება აუდიტორიის ყურადღების მოსაპყრობად, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

სტრატეგია მიზნად ისახავს, დადებითი და გაწონასწორებული ურთიერთქმედების მისაღწევად გამოიყენოს ისეთი ურთიერთსასარგებლო კავშირები, რომლებიც ხელს შეუწყობს მემკვიდრეობის კომპლექსურ მართვას.

შეფასების საინფორმაციო ბიულეტენებში წარმოდგენილია ძირითადი ცნებები და ამ ურთიერთდამხმარე კავშირების შეფასების ეტაპები..

**მოწინავე გამოცდილება:**

დაუკავშირდით სხვა დაინტერესებულ მხარეებს და გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე კითხვარის შევსებით.

თქვენ დაგიკავშირდებიან დამატებითი ინფორმაციისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს თქვენი პროექტის ან საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის და ფასეული კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის საკოორდინაციო კომიტეტისთვის, ეროვნული მემკვიდრეობის უფრო მტკიცე პოლიტიკის დასანერგად. ეს ინფორმაცია, ასევე, ხელს შეუწყობს სტრატეგიის შემუშავებას და მის მორგებას სამომავლო ტენდენციებსა და მოთხოვნილებებზე.

## ვის შეუძლია სტრატეგიის დანერგვა

სტრატეგიის შესაბამისად:

- *ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და ევროპის ქვეყნების კულტურული კონვენციის სხვა მონაწილეები ცდილობენ თავის კონსტიტუციურ სისტემებთან შესაბამისობაში შეასრულონ და განახორციელონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა მიაღწიონ მიზნებს და ერთმანეთს დახმარება გაუწიონ.*
- *21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია მიყვება ინკლუზიურ მიდგომას და მოიცავს არა მარტო ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ საჯარო ორგანოებს, არამედ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ყველა მესამე მხარეს, მათ შორის, პროფესიონალებს, (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებს, ნებაყოფლობით სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას.*
- *მემკვიდრეობა არის არაგანახლებადი საერთო სიკეთე, რომლის კონსერვაცია, დაცვა, შენახვა და გაფართოება არის საზოგადოების ყველა წევრის პასუხისმგებლობა, მათ შორის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სფეროებში. აქედან გამომდინარე, არსებობს საჭიროება, რომ განისაზღვროს ყველა ჩართული ადამიანის როლი და მოქალაქეებს საკუთარი მოვალეობების შესრულების საშუალება მიეცეთ.*

www.coe.int/strategy21

Strategy21@coe.int

ST21

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE